ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 74

ქ. ხობი 8 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი") მისამართი: ქ. ხობი, სტალინის ქ. N12, საიდენტიფიკაციო კოდი **244690401** საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის **3478300000**. მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის **ხათუნა ხორავა-სერგიას** სახით და მეორეს მხრივ ი/მწარმე **„ხათუნა ლალიძე"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისამართი ქუთაისი ჭავჭავაძის ქ N საიდენტიფიკაციო კოდი **60001002416** საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N **GE35BG0000000722801500** საქართველოს ბანკი . ბანკის კოდი **BAGAGE22.** მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის **ხათუნა ლალიძის** სახით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1. ხელშეკრულების საგანია ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან განათლების ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და სამუსიკო სკოლისათვის პიანინოს შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან მთლიანი ღირებულება

2.1 პიანინოს შესყიდვა. (პიანინო HUPFELD 1ც=2000ლ.)

2.2 CPV კოდი 37311100.

2.2 სულ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 2000(ორი ათასი) ლარი.

3. შესასყიდი საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხი საჭიროების შემთხვევაში სტანდარტებთან შესაბამისობა

3.1. სტანდარტებთან შესაბამისობით

4. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

2016 წლის 8 დეკემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

5. საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. უნაღდო ანგარიშწორებით.

7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

7.1. საგარანტიო პერიოდი შეადგენს 1 წელი

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8. 1. პირველი მხარე ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება. მეორე მხარე ვალდებულია დროულად მიაწოდოს საქონელი .

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევისას უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან - ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის ადმინისტრაცია.

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" *დირექტორი*

------------- ხ. ხორავა-სურგია

ი/მ ხათუნა ლაღიძე

------------- ხ. ლაღიძე